თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7502070

ნომერი: AR11092699

თარიღი : 27.05.2025

გაცემის თარიღი : 03.06.2025

გაცნობის თარიღი : 03.06.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გადელია პ/ნ 62002000412
- გალი წულუკიძის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 15 მარტის №AR11082400 განცხადებით მომართა საბა ფავლენიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №39-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.022.245) ღობის მოწყობა სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქმეზე №3/2783- 19 შეჩერებულია ქალაქ თბლისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკის იმ ნაწილის დამტკიცების ნაწილში, რომლითაც დიღმის ტყე პარკის ტერიტორიაზე (დავით აღმაშენებლის ხეივანს, გ. ჭოხონელიძის, ლუბლიანას და ს. ახმეტელის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორია) დადგენილია საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ყვება სწორედ ზემოაღნიშნულ არეალში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2025 წლის ღის 15 მარტის №AR11082400 განცხადებაზე წარმოდგენილი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.